# საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. სამი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კანტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე დღეებში კანტორა დაკეტილია.
კანტორის ტელეფ. 15—73.

ყოველდღიური გაზეთი | კვირა, თებერვლის 1 1920 წ. № 23 | ფასი 4 მან.



კვირას თებერვლის 1-ს ქუთაისის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი

## კონსტანტინე (კოწია) ეგნატეს ძე
## ნარსიას

სულის მოსახსენებლად რასაც აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ. ცოლი, შვილი, დედა, ძმები, დები, რძალი და სიძე.
2775—2—2

დღეს, თებერვლის 1-ს, ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

## ვასილ ივანეს ძის
## ფორაქაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ძმა მისი ადამ ივანეს ძე ფორაქაშვილი. დასაწყისი წირვისა 10 საათზე.
(2772 2—2)

კვირას, თებერვლის 1-ს, გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ვერაგულად მოკლულის ამხანაგ შტ. როტ. მაჩაბლისაგან ალბულახში, ძვირფასი და დაუვიწყარი პორუჩიკი მე-2 ქართულ ცხენოსანთა პოლკისა

## ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე კარაშვილისა.

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება დიდუბის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე, მიცვალებულის საფლავზე, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მიცვალებულის თავზარდაცემული და შეწუხებული მშობლები ალექსანდრე გაბრიელის ძე და მარიამ თევდორეს ასული ყარაშვილები შვილებით; გიორგი, ნინა, თამარა, მარიამი და ელენე ალექსანდრეს ძე და ასულნი.
2773 2—2

საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" რედაქცია აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას 1 თებერვალს 1 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ჟურნ. „ნაკადულის" დამაარსებელის და მისი მოამაგე რედაქტორის

## მარიამ ივანეს ასული დემურიას

გარდაცვალების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად
2776—2—2

მამა ეფრემ ანდრიას ძე, დედა სოფიო გიორგის ასული ძმები: სარდიონ, ანდრია და დები: ეკატერინე, ეფემია, მარიამი, თამარ, რძალი მარინე მეტრეველები იუწყებიან, რომ დღეს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად დაღუპულის შტაბს-კაპიტან

## სიმონ (შალიკო) მეტრეველის

სულის მოსახსენებლად. წირვის დასაწყისი 10 საათზე პანაშვიდისა 12 საათზე.
2783 1—1

## სახელმწიფო თეატრი

ეველახიშვილის ხელმძღვანელობით.

დღეს, თებერვლის 1-ს

ს. ევლახიშვილის ბენეფისი. მ. დავიდოვას მონაწილეობით

## კარმენ

მიხეილის
## ალკაზარ
პლეხანოვის ქუჩა, 91.

პარასკევიდან იანვრის 30-ს
პირველად თბილისში

## თავადი ფლორენციიდან

კინო-პიესა 3 მოქ.

## „ლეის სიკვდილი დაუჯერებდა"

კომიკური სურათი 1 მოქ.
დასასრულს სანახაობა „მონ-ბლანი".
დასაწყისი საღ. 5 ნახ. საათზე

## სახელოსნო კლუბი

გამგეობის მიერ თებერვლის პირველს დანიშნულია საღ. 5 საათ. საერთო წევრთა კრება განსახილველი საკითხი:

1. გამგეობის მოხსენება 1919 წ. მოღვაწეობის შესახებ.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება კლუბის ფულის ანგარიშის შესახებ და მისი დამტკიცება.
3. 1920 წ. ხარჯთ აღრიცხვა და მისი დამტკიცება.
4. გამგეობის წევრთა არჩევა 1920 წლისთვის.
5. სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.
6. რეკომენდაციის კომისსიის წევრთა არჩევა.
7. ახლად ჩაწერილ კანდიდატთა კენჭის ყრა.

საერთო კრება კლუბის § მუხლის ძალით რაოდენი წევრიც გინდ არ დაესწროს უეჭველად შესდგება.
2784 1—1

კინო აპოლო

დღეს, კვირას
უკანასკნელად
ჩვენ ეკრანზე

თბილისში გადაღებული

## მოკვეთილი თავი

კინო-დრამა 6 მოქ.

უმთავრეს როლებში პ. კიტევსკი და ლუი ბუფალო.

კინო ფანტაზია

ახალი მხატვრული დადგმა

## ლაქია

6 ნაწილად.

ანონსი: ხვალიდან ნაულაკა.

ფენომენი კინო-თეატრი ოლღის ქუჩა № 3.

ახალი დიდი პროგრამა

## „ტრაგიული ღამე"

დრამა 4 ნაწილად.

გვარდიის დღე თბილისში „12 ქრისტ. 1919 წ."
ტახტზე ნადირობა. პრენსის წვერი
მხიარული კომედია.

მოითხოვეთ
## არაყი და კონიაკი

ყველგან საუკეთესო ხარისხის

მარტო

## ა. ბარბის

თბილისი.
კირშის ქ. № 19.
ტელეფონი 18—19

ბათუმი.
ქარხანა და კონტორა თბილისის ქ. № 18, ტელეფ. 841.

## ხირომანტი-ასტროლოგი

იგებს: წარსულს, აწმყოს და მომავალს.

დაბადების თარიღით იქ არ მყოფებზედაც ლაპარაკობს.

მიღება 10—3 და 5—8 ს. მისამართი: თეატრალური ქუჩაბანდი, ივანოვის ნომრები, ოთახი № 12.
2765 4—4



## ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი
(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა")

ყოველ დღე დღის 11—5 ს. სადილი.

ანგელესკოს რუმინული ორკესტრი

შაბათს და კვირას
დიდი ექსპრომტის საღამოები.
დასაწყისი ღამ. 11 ს.
კონფერანსიე ნერაევი

## კ. ფ. კალატნიკოვის
## ბუღალტერიის პრაქტიკულ კურსებზე

მეცადინეობის დაწყება ახალ ჯგუფის 1 თებერვლიდან.
ჩაწერა საღ. 4—8 საათამდე მიხეილის პრ. № 132
5—2

## კავკ. გამნაღდებელ-გამსესხებელ
## ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი

(გარანტიან საწყობებით).

ძირითადი კაპიტალით 10.000.000 მან., რომელსაც მიზნად აქვს სესხის გაცემა საქონლის თავდებობით, ამით აცხადებს) რომ მის მიერ დანიშნულია პირველი 10% წინასწარი შეტანა 250 მ. აქციების ნომინალ ღირებულების 25 მ. და ორ-ორ მანეთობით შემდგარი საორგანიზაციო ხარჯებისა და აქციების დასამზადებლად, ხოლო სულ 27 მანეთი თვითეულ აქციისთვის სთხოვს ბანკის აქციებზე ხელის მომწერთ და ხელის მომწერის მსურველთ დღიდან გამოცხადებისა, არა უგვიანეს 2 კვირისა, შემოიტანონ აღნიშნული შემოსატანი თანხა

## თბ. ლ. საურთ. კრედიტის 1-ლ საზოგადოებაში

კომიტეტის მიმდინარე ანგარიშით § 2861 და ფულის შეტანის კვიტანცია წარმოადგინონ კომიტეტის კონტორაში ერივნის მოედანზე, კუთხე პუშკინის ქუჩ. და სომხურ ბაზრის. კავკასიის საურთიერთო კრედიტის სადგომში დღის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე. მისაღებად კავკასიის გამნაღდებელ-გამსესხებელ ბანკის საორგანიზაციო კომიტეტის კვიტანციისა.

აქვე მიიღებენ ყოველნაირ ცნობებს ბანკის დაფუძნების შესახებ.
2770 1—1

საქართველოს სენატის კანცელარიისთვის საჭიროა

## ქართულ საწერ მანქანაზე
## მადამწერი

მთხოვნელს შეუძლიან მიჰმართოს სენატის მდივანს თხოვნით თებერვლის 4-ს 3 საათამდე განათლების ცენზის აღნიშვნით.
2785—1

## კინემო მინიონი

ბარიათინის ქ. რუსთაველის პრ. კუთხე.

1, 2, 3 თებერვალს

გრანდიოზიული სურათი „პომპეის დაღუპვის" ეპოქიდან

## „იონა"

დრამა 6 აქტ.

სურათში მონაწილეობს 500 ადამიანი მათ შორის; ვეფხვნი, ლომები და სხვა ცხოველები.

ანონსი
ამ დღეებში „ოდეტ" ფრანჩესკა ბერტინის მონაწილეობით


## აფხაზეთი და თამბაქოს მონოპოლია

როგორც ჭიათურა შავი-ქვის სამეფოა, ისე აფხაზეთი თამბაქოს სამეფოა. თამბაქოს რაოდენობით და ხარისხით აფხაზეთს პირველი ადგილი ეჭირა რუსეთის ვეებერთელა იმპერიაში. ცხოვრებამ გაამართლა აფხაზეთის უპირატესობა თამბაქოს კულტურის საქმეში და ამიტომაც თამბაქოს მრეწველნი განსაკუთრებულ მზრუნველობას და ხელის შეწყობას აძლევდნენ თამბაქოს მწარმოებელთ აფხაზეთში ფულითა, თუ სათანადო ცოდნის შემოტანით.

დღეს ორთავე, როგორც ჭიათურა თავის შავის ქვით, ისე აფხაზეთიც თავის თამბაქოთ საქართველოს სუვერენობის განმტკიცების უძლიერეს ეკონომიურ ფაქტორს წარმოადგენენ. შავი-ქვა და თამბაქო—აი ჩვენი დაშლილ ეკონომიურ ცხოვრებას გამოსწორების წინდი. შავი ქვა და თამბაქო საქართველოს უდიდესი სავალიუტო საქონელია; ორივეს ოქროს ღირებულება აქვს ჩვენთვის. მაშინ როდესაც ჩვენს ბონებს არავინ იღებს და მათ სამაგიეროდ არც ერთი უცხო სახელმწიფოს ვაჭარ-მრეწველნი არავითარ საქონელს არ გვაძლევენ შავ ქვასა და თამბაქოს ყველანი ხარბად ეტანებიან და მის სანაცვლოდ ყოველგვარ საქონელს დიდი ხალისით გვაწვდიან. ასე რომ, ნახევრად გაშიშვლებული ჩვენი ხალხის ჩაცმა-დახურვა დღევანდელ პირობებში მარტო შავ-ქვასა და თამბაქოს შეუძლიან. ხოლო ამ ორში ის განსხვავებაა, რომ შავი-ქვის გაზიდვა ევროპის ბაზარზე ომის წყალობით ტონნაჟის შემცირების გამო, ძალზე შემცირებულია და საჭიროა ორი-სამი წელიწადი, ვიდრე ტონნაჟის შევსებითა და სამეტალურგიო წარმოების ნორმალურ ამოქმედებით, შავი-ქვის მოხმარება ევროპის მიერ ბუნებრივ საზღვრებში ჩადგებოდეს. სულ სხვაა თამბაქოს საქმე. თამბაქოს შიმშილი ევროპაში მასსიურია. მისი გადაზიდვაც გაცილებით უფრო ადვილია. მეორე განსხვავებაც ისაა, რომ შავი-ქვა ბუნებისგან არის მზა მზარეულად ჩაწყობილი, მაშინ როდესაც თამბაქოს მოყვანაში ცოდნა, კაპიტალი და ადამიანის ხელი მუშაობს.

ეს გარემოება სათანადოთ ვერ გაითვალისწინა ჩვენმა მთავრობამ, როდესაც მან განიზრახა თამბაქოზე მონოპოლია დაედო, აქ ისეთ წესს და მეთოდს მიმართა მონოპოლიის განსახორციელებლად, რომელიც მოსპობას უქადის თამბაქოს კულტურას აფხაზეთში. ამ გარემოებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია აფხაზეთის ყველა თამბაქოს მწარმოებელთა და მრეწველთა შორის. ამ ნიადაგზე აფხაზეთში მდგომარეობა მეტად გამწვავებულია.

ჩვენ ამას მოველოდით და იმ თავითვე ვაფრთხილებდით მთავრობას. ჩვეულის სიმარტივით და მარტო გამორჩენის მეთოდით არ მისდგომოდა ამ საქმეს. ჩვენს გაზეთში ბევრი წერილი დაიბეჭდა ამ საგანზედ, როგორც სარედაქციო, ისე უფრო კერძო პირების. მაგრამ მთავრობა და მმართველი პარტია ჩვეული არ არის სხვის აზრსა და რჩევას ანგარიში გაუწიოს. როდესაც ამ გზით ვერრას გავხდით, ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ამ ორ თვის წინად საკანონმდებლო წინადადება შეიტანა დამფ. კრების პრეზიდიუმში, შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა გატარებულიყო მონოპოლია ზოგიერთ სავალიუტო საქონელზე, როგორიცაა თამბაქო, მატყლი და სხვა. წინადადება აგებული იყო იმ პრინციპზე, რომელზედაც აეგო შავიქვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს:

ჰუნგრეთის არჩევნები მონარქისტების გამარჯვებით დასრულდა.
სირიაში სისხლის ღვრაა.
ინგლისის ჯარებმა ბეირუტი სამუდამოდ დასტოვეს.
იტალიელ რკინისგზელთა გაფიცვა დასრულდა. მუშაობა ყველგან განაახლეს.

## წერილები:

მეთაური—აფხაზეთი და თამბაქოს მონოპოლია.
პრესსა.
სერ-უილიამ ხაბარდა—უცხოელის წერილებიდან.
ვაჭრობა-მრეწველობა.

---

მონოპოლია. ეს წინადადება სხვა და სხვა კომისიის პორთფელს ჯერაც ვერ სცდურჩა და დამფუძნებელი კრების დღიურ წესრიგს ვერ ეღირსა.

ამ საკითხის მიფუჩეჩების მავნებლობას მანამ ვერ ვიგრძნობდით, ვიდრე მთავრობა პრაქტიკულად არ შეუდგებოდა მონოპოლიის განხორციელებას. სოხუმის ოლქში დღეს ეს „განხორციელება“ უკვე დაიწყო და ამიტომაც აშკარა გახდა მეტად სახიფათო ნაკლი დღეს მოქმედი მონოპოლიის წესებისა, ისე როგორც ეროვ.-ფრ. მიერ შემოტანილ წინადადების მიფუჩეჩების ვნებაც. წინადადების დროზე შეტანა დამფ. კრების დღიურ წესრიგში, თამბაქოს მონოპოლიის საგანზე კამათს განაახლებდა და შეიძლებოდა ახალ-ახალ ფაქტის და გარემოების ვადაშლას, თუ დასახელებული წინადადება არა, სხვა, მაგრამ არსებულზედ უფრო შესაფერი და მასალები კანონი მოჰყოლოდა. ამით მთავრობაც მოიგებდა და თამბაქოს კულტურის ბედიც უზრუნველყოფილი იქნებოდა.

გარემოებას მართლაც აქეთკენ მივყევართ. აფხაზეთის თამბაქოს მწარმოებელ-მრეწველნი ვერ ურიგდებიან მონოპოლიის წესებს. ამტკიცებენ, რომ ამას მოჰყვება პლანტაციების გავერანება. ამ კლასის წარმომადგენელნი დაგროვილი მასალით ჩამოდიან მთავრობასთან.

გუშინ ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი იყო აფხაზეთის თამბაქოს მრეწველთა საზოგადოების დეპეშა დამფ. კრების წევრის სპ. კედიას სახელზე. დეპეშაში აღნიშნული იყო მომქმედი მონოპოლიის წესის გამანადგურებელი შედეგი და თხოვნა ერ. დემ. ფრაქციისადმი, რომ ეს საკითხი კვლავ გამხდარიყო მსჯელობის საგნათ და თამბაქოს მონოპოლიაც იმავე საფუძველზე მოწყობილიყო, როგორც შავი ქვის მონოპოლია.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ერ.-დემ. ფრაქციის მიერ შეტანილი საკანონმდებლო წინადადება, მისი დღიური სიმწვავის ხასიათის გამო, სიჩქარით მოექცევა დამფუძნებელ კრების წესრიგში და რომ დამფუძნებელ კრების ყველა ფრაქციები, ახალი მასალისა და შექმნილი მდგომარეობის განათებაზე, განიწყობიან სინამდვილესთან დაახლოვებული და მართებული კანონის შესამუშავებლად.

არ არის არავითარი საბუთი, რომ თამბაქო უფრო ძნელ პირობებში ჩავაყენოთ, ვიდრე შავი ქვა.

## პრესსა

### „საქართველოს მთავრობის შინაგანი პოლიტიკა“

„აშხატავორ“-ის იანვრის 30-ის №-ში დაბეჭდილია წერილი—„საქართველოს მთავრობის შინაგანი პოლიტიკა“. „ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ არც ერთს მთავრობას არ ძალუძს მტკიცედ იგრძნოს თავი გარეშე საშიშროების წინააღმდეგ, თუ იგი არ ეყრდნობა მშრომელ მასსას, და ეს გარემოება უფრო თვალსაჩინოა დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისათვის, სადაც სახელმწიფოს საფუძველსა და მმართველობის წყაროს თვითონ დემოკრატია შეადგენს.

ეჭვს გარეშეა რომ ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მთავრობისთვის სიტყვის „დემოკრატია“-ს მნიშვნელობა არ უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ ქართველი ხალხით ან ქართველ დემოკრატიით.

სამწუხაროდ, რუსეთის რევოლიუციის და მის მიერ წამოყენებული ლოზუნგების გაეროვნების პირველივე დღიდანვე, ქართულ მმართველ პარტიამ და მის მთავრობამ, წმინდა ქართული სახელმწიფოს შექმნით გატაცებულმა დროებით დაივიწყებას მისცა როგორც თავისი პროგრამა, ისე ის იდეალები, რისთვისაც ისინი იბრძოდნენ. და საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში ეროვნულ ანტოგონიზმმა და „ინოროდცების“ დევნამ საგრძნობ საზომს მიაღწია.

წინად ჩვენ ბევრჯერ შევჩერებულვართ ამაზე, მიგვითითებია მისი საშიში და უარყოფით მნიშვნელობაზე.

და თუ უკანასკნელ ხანებში ჩვენ თავს ვარიდებდით შინაურ პოლიტიკის მოვლადეთა დაუშვებელ მოვლენებზე შეჩერებას, ამის მიზეზი იყო ის, რომ რესპუბლიკას საშიშროება მოელოდა.

მაგრამ ყოველი მოთმენა სასურველია იმდენად, რამდენადაც იგი არ ილებს ბოროტმოქმედების ხასიათს და არ სთელავს მშრომელ მასსის ელემენტარულ უფლებას.

ახლა ჩვენ ასეთ მდგომარეობაში ვართ.

რესპუბლიკის საზღვრებში არიან „ინოროდცები“, რომელთა შესახებ მთავრობა აწარმოებს „განსაკუთრებულს“ პოლიტიკას. ეს პოლიტიკა გარკვეულად ემჩნევა უფრო ახალქალაქისა და ბორჩალოს სომხებით დასახლებულ ადგილებში, სადაც მოსული ბიუროკრატიის უსაცოდავესი წარმომადგენელი, რომელსაც თავისი თავი ხელმწიფური უფლებებით აღჭურვილად მიაჩნია, არ სცნობს არავითარ კანონებს და უფლებათ.

შესაძლებელი იქნებოდა ეს უკანონობანი მიგვეწერა მხოლოდ მთავრობის აგენტებისათვის, რომ ცენტრს როდისმე შეესმინა ტანჯულთა ხმა, დაესაჯა დამნაშავენი ან და აჰკვებოდა ადგილობრივ მცხოვრებთა გაჭირვებათ.

ეს არ მომხდარა და არც ხდება. ისეთი ნხარე, როგორიც არის ახალქალაქი, რომელიც იმყოფება შიმშილის და ეპიდემიის კლანჭებში, მოკლებულია არა მარტო მთავრობის „მამობრივს“ მზრუნველობას, არამედ ექვემდებარება ყველა მის ბრძანებებსაც.

ასე მაგალითად, ჩვენთვის გაუგებარი „მოსაზრებებით“, მთავრობამ, წინააღმდეგ ხალხის და ეროვნული საბჭოს მრავალ გზის მიმართვისა, უარჰყო მობილიზაციის გადადება, ხელი არ გაუძრევია მაზრაში ხალხის გამოკვების საქმის მოსაგვარებლად ან სათესის დასარიგებლად.

გადასახადები, ბეგარები, მეხის მფქვრევი მუქარები და ბრძანებები და ყველა ამის სამაგიეროდ არაფერი ხალხისათვის, არაფერი მისი საჭიროების დასაკმაყოფილებლად..

ცხადია, რომ ამ მრავალტანჯულ მაზრისადმი ამგვარი მოპყრობის სიჩუმით გადატანა იქნება დანაშაული, როგორც ამ ხალხის წინაშე, აგრეთვე რესპუბლიკის წინაშეც“.

„აშხატავორ“-ს უნდა ახსოვდეს ერთი რამ: სახელმწიფოში ვრცელდება ყველასათვის ერთი კანონი, ერთი ძალა-უფლება და მისი ასრულება ყველასთვის ერთნაირად სავალდებულოა. ჩვენი მთავრობის დანაშაული, თუ მარტო იმაშია, რომ ახალ ქალაქის მაზრაში მობილიზაცია არ გადადო, ამას მოითხოვდა მთელი რესპუბლიკის ინტერესები, და ჩვენი აზრით მთავრობის დანაშაული უფრო იმაშია, რომ ჯარის გაწვევის საქმე დღემდე სასურველ სისწრაფით ვერა რიგდება. ოთხივე მხრით მტრებით გარშემორტყმულ სახელმწიფოს უმთავრესად სამხედრო ძალა სჭირია, და საქართველოს მთავრობაც თავის მდგომარეობის მიხედვით იქცევა. რაც შეეხება ეპიდემიასა და სიმშილს, ამ მხრივ სხვაგან რის გაკეთება შესძლო ჩვენმა მთავრობამ, რომ ახალქალაქის მაზრაში გაეკეთებია!

## დამფუძნებელი კრება

იანვრის 30-ის სხდომა

თავმჯდომარეობს ა. ლომთათიძე.

800 მილიონ მანეთის ემისიის დეკრეტის შესახებ მოხსენებას კითხულობს ს. მდივანი.

დეკრეტმა გამოიწვია კამათი ს.-რევოლიუციონერებისა და ფედერალისტების მხრით. დ. კრ. ახალი ემისიის უფლება მისცა მთავრობას.

**ეროვნულ-პარტიის შეკითხვა აფხაზეთში თამბაქოს მონოპოლიის უწესრიგოდ განხორციელების შესახებ.**

გ. ვეშაპელი. შემკითხველი აღნიშნავს, რომ დეკემბრის რიცხვებში მიღებული ფოთლოვან თამბაქოს მონოპოლიის კანონი აფხაზეთში, არა ნორმალურად ხორციელდება.

აფხაზეთი მთავარი ცენტრია მთელ საქართველოში, სადაც თამბაქოს კულტურა უმაღლეს წერტილზეა დაყენებული და მთავრობამ ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას.

მონოპოლიის კანონის ძალით უნდა დაარსებულიყო ერთი ცენტრალური ორგანო სამონოპოლიო საგანზე მტკიცე ფასების მოსაწესრიგებლად. არც აქ და მით უმეტეს არც აფხაზეთში ასეთი ორგანო არ არსებობს და ფოთოლ თამბაქოს მონოპოლიის გატარების საქმე მთელ აფხაზეთში ერთს აქვს მინდობილი.

ყოვლად შეუძლებელია ერთს კაცს მიენდოს ასეთი დიდი საქმის წარმოება. ყიასაშვილს გარშემო, რომელიც მთელ აფხაზეთში ამ საქმეს ხელმძღვანელობს მრავალი საჩივარია აღძრული.

აფხაზეთში თამბაქოს კულტურა განვითარდა მას შემდეგ, რაც ოსმალთ მთავრობამ ამ საგანზე მონოპოლია დააწესა და ყველა ცოცხალი ძალები, რომელნიც თამბაქოს აწარმოებდენ აფხაზეთში გადმოსახლდა. არასოდეს არ უნდა ავიწყდებოდეს ჩვენს მთავრობას ეს გარემოება.

მონოპოლიის არანორმალურ პირობებით შევიწროებულ აფხაზეთის მრეწველებმა რამოდენიმეჯერ მიმართეს ჩვენს მთავრობას დელეგაციების შემწეობით, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია.

საჭიროა ფოთოლ თამბაქოს მონოპოლიის გასატარებლად და მტკიცე ფასების დასადებად დაწესებულ იქნას კანონში აღნიშნული ორგანო და აგრეთვე მიღებულ იქნას მონოპოლიის ისეთი წესი როგორიცაა მარგანეცზე.

**ი. ჭავჭანიძე.**

შემკითხველ უპასუხებს მომარაგების მინისტრის ამხანაგი ი. ჭავჭანიძე და აღნიშნავს, რომ მთავრობას ამის შესახებ არავითარი ცნობები არ აქვს, და მოითხოვს ერთი კვირის ვადას დასაბუთებულ პასუხისათვის.

**ეროვნ. პარტიის შეკითხვა აფხაზეთში ქვეშემრდომობის უფლების დარღვევის შესახებ.**

შემკითხველი გრ. ვეშაპელი აღნიშნავს, რომ მთავრობამ ქვეშემრდომობის კანონი მიიღო 1 თვის წინად, ხოლო აფხაზეთში ეს კანონი გამოცხადდა 1920 წ. იანვრის 22-ს, და რომ კანონის ასეთი არა ნორმალურ წესით გამოქვეყნება ხელს შეუშლის აფხაზეთში დამფ. კრების არჩევნების წესიერად გატარების საქმეს.

**შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის პასუხი.**

შემკითხველს მთავრობის მხრით პასუხი მისცა შინაგ. საქ. მინ. ამხანაგმა ქეჟინაძემ და აღნიშნა, რომ სოხუმის ერთ-ერთ კერძო და არა ოფიციალურ გაზეთში მოქალაქეობის კანონი მართლაც გვიან გამოქვეყნებულა და შემდეგ ქალაქის თვითმართველობას კანონის ტექსტი ქუჩებზე გაუკრავს, მაგრამ მთავრობა ამაში არავითარ უფლების დარღვევას არ ჰხედავს. ამ შეკითხვის შესახებ დაწვრილებითი მოხსენებისათვის მთავრობას ერთი კვირის ვადა მიეცა.

# უცხოეთი

## რუსეთი

**რუსეთის ზარალი.**

„ვარშავსკის სლოვო“-ს გადმოცემით, როგორც სტატისტიკურ ცნობებიდან გამორკვეულა რუსეთს ომის დაწყებიდან იანვრის 1-დე 1920 წ. დაუკარგავს 35 მილიონი კაცი.

**გენერალ დენიკინის მდგომარეობა.**

უმაღლეს საბჭოს ადმირალ ლე-ბონის და გენერ. მანჟენოშის აზრით გენერალ დენიკინის არმიის მდგომარეობა არც ისე თურმე ცუდი ყოფილა, როგორც ეს ბევრსა გონია. დენიკინის არმია ჯერ ისევ მტკიცე ორგანიზაციას წარმოადგენს.

**ბოლშევიკების სამხედრო ცნობები.**

(საქ. დეპ. სააგ.).

**მოსკოვი.** იან. 30. სამხედრო ცნობა. რეჟიცის რაიონში ბრძოლა გრძელდება. მოზირის სამხრეთ-დასავლეთით 40 ვერსზე და ჩრდილო-დასავლეთით 25 ვერსზე ჩვენი ჯარი იბრძვის. ელისავეტგრადის რაიონში აღსანიშნავი ცვლილება არ მომხდარა პერეკოპის ჩრდილოეთით მკაცრი ბრძოლა გრძელდება. ნოვო ჩერკასის რაიონში მანიჩსკაიას სამხრეთით 8-10 ვერსზე ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი აიღო. დამატებითი ცნობებით, 28 იანვარს მანიჩსკაიას რაიონში ბრძოლის დროს ჩვენ 1.400 ტყვე წამოვიყვანეთ. მდ. მანიჩზე ჩვენ მტერი უკუ ვაგდეთ ჩვენმა ჯარმა ვოზდვიჟენსკოე და მიტროფანოვკა აიღო, დაუსხა ზურგს უკან მტერს, რომელიც მანიჩზე გადასასვლელ ადგილებს იცავდა დონის ჩრდილოეთ რაიონში და გაანადგურა აქ მყოფი ასტრახანის დივიზია. მრავალ დავლასთან ერთად ჩვენ ხელში ჩაგვივარდა დივიზიის საველე შტაბი.

**მიმართვა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ პოლონეთის მთავრობისა და ხალხის მიმართ.**

(საქ. დეპ. სააგ.).

28 იანვარს სახალხო კომისართა საბჭომ განცხადებით პოლონეთის მთავრობას და ხალხს. ამ განცხადებაში აღნიშნულია, შეთანხმების უკიდურესი იმპერიალისტები ამ ჟამად ყოველ ღონეს ხმარობენ რათა პოლონეთი ჩაითრიონ უაზრო ბრძოლაში საბჭოთა რუსეთთან. ცდილობს რა ხელი შეუშალოს ახალ სისხლის ღვრას და მსხვერპლს სახალხო კომისართა საბჭო აცხადებს, რომ რუს. ფედ. საბ. რესპუბლიკის პოლიტიკა დამყარებული ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპზე, უსათუოდ და უდაოთ აღიარებდა და აღიარებს პოლონეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და სუვერენობას. იცავს სრულიად რა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის 22 დეკემბრის საზავო წინადადებას კომისართა საბჭო, რომელიც შორს არის ყოველგვარ აგრესიულ ზრახვებისაგან, აცხადებს, რომ წითელი ჯარი არ გადააბიჯებს ბელორუსების ფრონტის ეხლანდელ ხაზებს, რომელიც გადის შემდეგი ადგილებზე: დრისა, დისნა პოლოცკის, ბორისოვის, პარინის. სად პტიჩის და ბელოკოროვიჩის ახლოს. რაც შეეხება უკრაინის ფრონტს სახალხო კომისართა საბჭო თავის სახელით და უკრაინის დროებით მთავრობის სახელით აცხადებს, რომ ფედერატიული რესპუბლიკის საბჭოთა ჯარი სამხედრო მოქმედებას არ აწარმოებს დასავლეთის ფრონტის ეხლანდელ ხაზებს იქით რომელიც ნიდინოვა, პილიავის და დერაჟნის ახლოს გადის. სახალხო კომისართა საბჭო აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობას არც გერმანიასთან და არც სხვა სახელმწიფოსთან არავითარი შეთანხმება და ხელშეკრულება არ დაუდევს პირდაპირ თუ არა პირდაპირ პოლონეთის წინააღმდეგ მიმართული. სახ. კომისართა საბჭო აცხადებს, რომ რამდენადაც ლაპარაკია პოლონეთის და რუსეთის ნამდვილ ინტერესებზე არ არსებობს არც ერთი საკითხი ტერიტორიალური, ეკონომიური და არც სხვა რომელიც არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკებით და დათმობით გადაწყდეს ისე როგორც ამჟამად ეს ხდება ესტონეთთან მოლაპარაკებაში.

## საფრანგეთი

**მოკავშირეთა საახალშენო გამოფენა.**

საფრანგეთის სენატმა მიიღო კანონ-პროექტი 1925 წელს მოსაწყობ მოკავშირეთა საახალშენო გამოფენა.

(„ანტანტა“).

**საფრანგეთის ფინანსები.**

საფრანგეთის ფინანსთა სამინისტრომ პალატაში შეიტანა პროექტი ზოგიერთი გადასახადების გადიდების შესახებ. წერილებს, ტელეფონებს, დეპეშებს გადასახადი ერთი-ორად ემატებათ.

## გერმანია.

**გერმანია და შეერთებული შტატები**

შეერთებულ შტატების მთავრობამ შეატყობინა გერმანიას რომ მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობა უნდა სწარმოებდეს დროებით ზავის პირობების მიხედვით.

**საარის ოლქი—თავისუფალი სახელმწიფო**

საზავო ხელშეკრულობის ძალით საარის მაღაროები ითვლება საფრანგეთის საკუთრებად. ხოლო თვით ოლქი შედის საფრანგეთის საბაჟო საზღვარში. 15 წლის განმავლობაში ეს პროვინცია, როგორც ავტონომიური სახელმწიფო, ხალხთა ლიგის გამგებლობის და კონტროლის ქვეშ უნდა იყოს. ამ ხნის შემდეგ კი ადგილობრივ მოსახლეობამ პლებისციტის საშუალებით უკანასკნელად უნდა გამოარკვიოს ამ ოლქის მომავალი, დარჩება იგი გერმანიისა, თუ საფრანგეთის ხელში.

## ჩეხო-სლოვაკია

**ტუზარი ჩეხო-სლოვაკიის შესახებ**

დებატებზე და ნაციონალურ კრებებზე ჩეხო-სლოვაკიის საბჭოთა მინისტრთა თავმჯდომარეს ბ-ნ ტუზარს განუცხადებია შემდეგი: «ჩეხო-სლოვაკიამ უკვე დაიმსახურა სახელი, რომელიც ღირსია ქების. ჩეხო-სლოვაკია ერთად-ერთი სახელმწიფოა, რომელიც თავის დემოკრატიულ წეს-წყობილებით შესძლო მძიმე დაბრკოლებანი გადაელახა სისხლის დაუღვრელად, რაც ვერ ითქმის სხვა სახელმწიფოებზე. სახელმწიფოს განმტკიცებას ხელი შეუწყო თვით ჩეხო-სლოვაკიის ხალხის შეგნებულმა დემოკრატიულმა მასსამ».

**სავაჭრო კონვენცია სამხრეთ სლავიასთან**

სამხრეთ-სლავიასთან შეკრულ კონვენციის ძალით ჩეხო სლოვაკიამ უნდა მისცეს სამხრეთ-სლავიას 1000 ვაგონი შაქარი, სამაგიეროდ იქიდან გაიტანენ ფქვილსა და ხორცს. თითო კილოგრამ შაქარში ჩეხო-სლოვაკები მიიღებენ 3 კილოგრამ ხორბალს, ან 1 კილოგრამ ხარის ხორცს. გასაცვლელ საქონლის გატან-შემოტანა უბაჟოა.

## ოსმალეთი

**კონსტანტინოპოლის საკითხი**

ემირ ფეისალმა ვენიზელოსთან საუბარში განაცხადა, რომ ის დიდ მნიშვნელობას აძლევს კონსტანტინოპოლის საკითხს, კონსტანტინოპოლი ხალიფატისთვის საჭიროა ფრიად და ეჭველად ბოსფორი უნდა დარჩეს ოტომანთა იმპერიას.

**ოსმალეთის დანაწილება**

ინგლისურ გაზ. „ექსპრეს“-ში მოთავსებულია ამ გაზეთის პარიზელ კერძო კორესპონდენტის საგულისხმო წერილი სათაურით: „წინასწარმეტყველება მანდატების შესახებ“.

ამ წერილში ავტორი, სხვათა შორის ამბობს:

„გაზეთ „ენთრადიაცნ“-ში მოთავსებულია საგულისხმო წინასწარმეტყველება, რომლისაგანაც სჩანს, თუ რა გვარი იქნება ოსმალეთთან ხელშეკრულობა. ამ წერილში ნათქვამია, რომ მთავარი სახელმძღვანელო პრინციპებად იქნება მიჩნეული ეროვნული პრინციპი და არა სარწმუნოებრივი. ოსმალეთი უნდა იყოს დამოუკიდებელი აღმოსავლეთ ანატოლიაში, საერთაშორისო ზედამხედველობის ქვეშ. ეროვნებათა კავშირმა უნდა აიღოს სტამბოლის მანდატი; ბერძნებმა—იზმირი, მაშამდიანებთადმი განსაზღვრულ გარანტიის მიცემით; საფრანგეთმა უნდა აიღოს სირიის მანდატი, დიდმა ბრიტანეთმა—პალესტინისა და მესოპოტამიისა. იქნება აგრეთვე ცდა სომხეთის რესპუბლიკის შექმნის კავკასიის სომხეთის გარშემო, აღმოსავლეთ ანატოლიიდან ხუთი ვილაიეტის და ტრაპიზონის გუბერნიის ნაწილის მიცემით.

კილიკიის შესახებ ამ პროექტში არაფერია ნათქვამი.

დიდი სიძნელე, ამბობს გაზ. «ენთრადიაცნ»-ი, მდგომარეობს იმაში, თუ რაგვარ პოზიციას დაიჭერენ ამის შესახებ იტალია, ინგლისის ინდოეთის განყოფილება და პრეზიდენტი ვილსონი. ხელშეკრულობის დამთავრება მარტის გასვლის ადრე ვერ მოხერხდება.

ეს წერილი შესაძლებელია წარმოადგენს საფრანგეთის ზომიერ დიპლომატთა თვალსაზრისს ხსენებულ საკითხის შესახებ».

## პოლონეთი

**ანტანტა და პოლონეთი**

(«საქართველოს» თარგმანი)

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს პატეკს, რომელიც ამ ჟამად ციურიხში იმყოფება და ლონდონსა და პარიზს მიემგზავრება, საუბარი ჰქონია რადიო-ტელეგრაფით პრესსის წარმომადგენელთან, რომლისთვისაც შემდეგი განუცხადებია:

„მე საჭიროთ მიმაჩნია ჩემი მოგზაურობა ინგლისსა და საფრანგეთში რათა ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლების ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ პოლონეთის ახალი კაბინეთი თავის საგარეო პოლიტიკაში განაგრძობს პადერევსკის კაბინეთის პოლიტიკას და მე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, გულწრფელად მსურს საუკეთესო მეგობრული განწყობილება დავამყარო საფრანგეთთან და ამავე დროს ინგლისის ყურადღებაც დავიმსახურო.

სხვა საკითხთა შორის, მე უნდა შევეხო აღმოსავლეთ გალიციის საბედისწერო საკითხს, რომელიც მეტათ მწვავე ყურადღებას იპყრობს პოლონეთის ხალხის ყველა წრეებში.

მე მივიღე ყველა ზომები, რათა დამემშვიდებია საზოგადოებრივი აზრი, რადგან მე მრწამს, რომ საზავო კონფერენცია მიიღებს ამ საკითხში სამართლიან გარდაწყვეტილებას. ეს საკითხი შეუძლებელია გადაწყდეს ისე, რომ პოლონეთის სასიცოცხლო ინტერესები ყურადღებაში არ იქნეს მიღებული. უნდა შეიქნეს ახალი ადმინისტრატიული ტერიტორია, რომელიც აქამდე არ არსებობდა.

გალიციას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი პოლონეთის ფარგლებში დარჩება, შეუძლია გამოიღოს მილიარდები, რომელნიც აღადგენენ მის კეთილდღეობას და ეს თანხა აღებული იქნებოდა დამატებითი გადასახადების გაუწერელად ისევე, როგორაც ეს პოლონეთის სხვა ნაწილებში ხდება.

გალიციის ჩამოშორება პოლონეთისაგან, ჩამოაცილებს მას რუმინეთსაც და გვიხურავს ჩვენ გასავალს შავი ზღვისაკენაც.

მეტათ დიდ უხერხულობას ჰქმნის პოლონეთისათვის და დიდი ზიანი მოაქვს მისთვის იმ გარემოებას, რომ კონფერენცია აგვიანებს საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციას; რატიფიკაციის დაგვიანება მეტათ აფერხებს პლებისციტის განხორციელების საქმესაც: როგორც კი რატიფიკაცია მოხდება, ყველა სადაო ტერიტორიის საკითხები გადაეცემა ინტერნაციონალურ კომისიებს, ამ ჟამად კი ტერიტორიის ეს ნაწილები ჩვენი მტრების ხელში იმყოფებიან.

ასეთსავე მდგომარეობაშია დანციგის საკითხიც—ჩვენი მრეწველობის აღორძინებისათვის საჭირო ნედლი მასალის შემოტანის საქმეში, ჩვენ სავსებით დამოკიდებულნი ვართ გერმანიისაგან.

ასეთ მდგომარეობაში პოლონეთს დიდხანს არ შეუძლია, რომ დარჩეს.

„მორნინგ პოსტ“ 27/XII.

## ეგვიპტეში

**ლორდ მიულნერის განცხადება**

(„საქართველოს“ თარგმანი)

**კაირო.** 29 ქრისტეშობისთვე. დღეს ოფიციოზმა გამოაქვეყნა ლორდ მიულნერის შემდეგი განცხადება:

„ბრიტანეთის მისსია, განცვიფრებული აქ გავრცელებული აზრით, თითქოს მისი ჩამოსვლის მიზანი იყოს ეგვიპტეს უფლებათა შეკვეცა, საჯაროთ აცხადებს, რომ ამ აზრს სინამდვილესთან არაფერი საერთო არა აქვს.

ეს მისია გამოგზავნილია ბრიტანეთის მთავრობის მიერ, ბრიტანეთის პარლამენტის თანხმობით, რომ შეარიგოს ეგვიპტეს მისწრაფებანი დიდი ბრიტანეთის საგანგებო ინტერესებთან ეგვიპტეში და დაიცვას ეგვიპტეში მყოფ უცხოელთა ინტერესები.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ორივ მხრით კეთილი და თავისუფალი ნების გამოთქმით, ეს მიზანი მიღწეული იქნება. მისსიის გულწრფელი სურვილი, რომ ურთიერთობა დიდ-ბრიტანეთსა და ეგვიპტეს შორის ემყარებოდეს მეგობრული თანხმობის პრინციპებზედ და ბოლო მოეღოთ იმ შეხლა-შემოხლათ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ აქამდე და ეგვიპტელებს კი, საშვალება მიეცეთ მთელი მათი ენერგია მოახმარონ მუშაობას მათს ეკონომიურ დაწესებულებებში, მათი სამშობლოს საკეთილდღეოდ—მისსიის სურვილია მოუსმინოთ ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლებს და იმ პირთ ვინც ახლო იღებს გულთან თავის ერის ინტერესებს. ყველას შეუძლია თავისი აზრი თავისუფლად გამოსთქვას, მისსიას სრულებით აზრათ არა აქვს იქ გამოთქმული აზრები ბოროტათ გამოიყენოს, პირ იქით, ყველამ თავისუფლად უნდა გამოსთქვას თავისი აზრი, რადგან თუ ჩვენი ურთიერთობა მოუწყობელი იქნება შეუძლებელი იქნება ამ შეთანხმების მიღწევა, რომელიც ორივე მხარის მიზანი უნდა იყოს ამჟამად“.

ლორდ მიულნერის განცხადების საპასუხოთ, ეგვიპტეს ნაციონალისტებმა თავის პრესსაში მოათავსეს წერილები, რომელშიც ისინი აცხადებენ, რომ მათ ზემოხსენებულ თათბირზედ განზრახული აქვთ მოითხოვონ ეგვიპტეს სრული დამოუკიდებლობა, რისთვისაც ისინი უკანასკნელ საშუალებამდე იბრძვიან. „ნაციონალისტების მთავარი ორგანო აცხადებს თავის უკმაყოფილებას კომისსიის წევრების არჩევნებით. გადადგმულია ნაბიჯები ეგვიპტეს ნაციონალისტების და ლიბერალების პარტიების შესათანხმებლად.

ამბობენ, რომ შედგენილი იქნება ახალი კაბინეთი რუშდის თავმჯდომარეობით, რომელშიც შევლენ მოხლუმი და ზაგულ-ფაშა, რომელიც ეს არის პარიზიდან დაბრუნდა.

მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა.

„ტაიმსი“

## შიმშილი ევროპაში.

ლონდონში, ვენიდან ჩამოსულმა ვილიამ გუდმა, წაიკითხა მოხსენება ევროპის დღევანდელ ეკონომიურ კრიზისზე. „ვენაში რამდენიმე დღე მომიხდა ცხოვრება, საუკეთესო სასტუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როში გავატარე რამდენიმე დღე და ვერ ვიშოვნე ვერც რძე და ვერც კვერცხები. ოთახი საშინელ საყინულეს წარმოადგენდა. ვიყიდე შეშა და მე ეს დამიჯდა 970 კრონი მთელი ქუჩები სავსეა სამგლოვიარო პროცესიებით. მხოლოდ ორ კვარტალში მე დავთვალე 19 კუბო. ვენის მდგომარეობა დღეს იქნება უარესი იყოს, ვიდრე მომაკვდავ პეტროგრადისა. ყველაფერში ნაკლულოვანებაა და ეკონომიური კრიზისი მეტად დიდია".

# ახალი ამბები

## მთავრობაში

იანვრის 22-ს სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

**რკინის გზის ხიდების დაცვა.**

1. რკინის გზის ხიდების დაცვა დაევალოს სახალხო გვარდიელებს, მათი რკინის გზის კომენდანტების დაქვემდებარებით.

**მიწათ მოქ. სამინისტ. უწყ. ახალი ჯამაგირები.**

2. მოხსენება მიწათ მოქმ. სამინისტროს უწყებათა მოსამსახურეების ჯამაგირების ახალი ნორმების შესახებ მიღებულ იქნას და გადაეცეს დასამტკიცებლად დამფ. კრებას.

**საგანგებო და საოლქო სასამართლოს ნაწილები.**

3. თბ. საგანგებო საოლქო სასამართლო ნაწილები გაერთიანებულ იქმნას.

**შინაგან საქმ. სამინისტრ.**

**ყაჩაღის მოკვლა**

ეკატერინოვკიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ, რომ იქ მოუკლავთ ცნობილი ყაჩაღი ფაშა ყარამან ოღლი.

**ყაჩაღების დაჭერა**

დუშეთიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ, რომ იქ დაუჭერიათ და გამომძიებლისთვის გადუციათ ცნობილი ყაჩაღები ჩოხელი და ხარიჭაშვილი, რომელთაც სხვადასხვა მკვლელობა ბრალდებათ.

**რკინის გზის ტელეგრაფის დაცვისათვის**

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიამ ცირკულიარული წინადადება მისცა ყველა მაზრის მილიციის უფროსებს, რათა რკ. გზის მახლობლად მდებარე სოფლების მცხოვრებთა მიერ ტელეგრაფის ხაზის დაზიანების წინააღმდეგ მიღებულ იქმნას ენერგიული ზომები და ყველა დამნაშავენი პასუხისგებაში იქმნენ მიცემული.

**„ციხისძირის" ფერმა**

ბორჯომის მამულთან ყოფილ «ციხისძირის» ფერმის აღსადგენათ გაგზავნილ კომისიამ ახალქალაქის მაზრაში დუხობორებისგან შეიძინა 46 ჯიშიანი ძროხა და 12 ცხენი.

განზრახულია შეძენილი იქმნას 300 სული საქონელი, რომლის ბადლათ მცხოვრებნი პურს მოითხოვენ.

**ცნობები თემთა მოსახლეობის შესახებ.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიამ ცირკულიარული წინადადება მისცა ერობებსა და ქალაქებს, რათა რესპუბლიკის გენ. შტაბის სამობილიზაციო ნაწილს გაეგზავნოს ცნობები მაზრის შემადგენელ თემთა მოსახლეობის შესახებ, რისთვისაც ერობებსა და ქალაქებს ცირკულია-
რთან ერთად დაეგზავნათ შემუშავებული ფორმა ცნობების შესადგენად.

**ფინანსთა სამინისტროში**

**სამეურნეო იარაღების შესაძენად.**

ფინანსთა სამინისტრო განიხილავს კრუნ. გრუეცის მოხსენებას საზღვარგარედ სესხის აღების შესახებ სამეურნეო იარაღების შესაძენად.

**გასატან საქონლის გადასახადისათვის.**

ფინანსთა სამინისტრო იხილავს მოხსენებას გასატან საქონელზე გადასახადის შესახებ.

**საფუთო გადასახადი.**

თელავის, სიღნაღის და გორის მაზრებში შუამდგომლობენ საფუთო გადასახადის ზემოღების შესახებ.

**მ. წ. მოქმ. სამინისტროში**

**დედებისა და ბავშვთა დაცვის საზოგადოების შუამდგომლობა**

დედებისა და ბავშვთა დაცვის საზ. უარი ეთქვა მის შუამდგომლობაზე, რომ მისთვის დროებით იჯარით გადაეცათ კოჯორში ყოფილ ამიერ კავკასიის ქალთა ინსტიტუტის საზაფხულო შენობა საზოგადოების საჭიროებისათვის.

## სხვა და სხვა ამბები

**საქართველოს ქალაქის კავშირის**

საექიმო სასანიტარო განყოფილება ამით იუწყება, რომ ცენტრალურმა ბაქტერიოლოგიურმა ლაბორატორიამ (სერგიევის ქ. № 4) მიიღო პარიზიდან—პასტერის ინსტიტუტიდან დიფტერიტის საწინააღმდეგო ახალი შრატი, რომლის თვითეული ამპული შესდგება 2500 ერთეულიდან. შრატის გაცემა ავადმყოფთათვის შეიძლება მხოლოდ ექიმების გამოწერით. ავადმყოფის პატრონმა შრატის მოთხოვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შედეგები თბილისის ერთ-ერთ ლაბორატორიაში წარმოებულ ანალიზისა.

**მორწმუნეთა საზოგადოება**

კვირას, 1 თებერვალს, დღის 12 საათზე ქართულ კლუბის სათეატრო დარბაზში დანიშნულია მესამე მორწმუნეთა საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა კრება. თავმჯდ. კათოლიკოზ-პატრიარქი ლეონიდი. ვისაც სურთ წევრათ ჩაეწერონ შეუძლიანთ მიმართონ კათოლიკოზის კანცელარიაში დილის 9 საათიდან 2-დე, ან კვირას თეატრის დარბაზში ყოფნის დროს.

**ფოსტა-ტელეგრაფში**

**ფოსტა-ტელეგრაფის ამბულატორია.**

ამ დღეებში ფოსტა-ტელეგრაფის უწყების ამბულატორია აკურთხეს და მოქმედებაც დაიწყო. ამბულატორია მოთავსებულია თბილისის უმთავრეს ფოსტის კანტორის შენობაში და შედგება 7 ოთახისგან: 1. ავადმყოფთა მისაღები დიდი დარბაზი; 2. კანცელიარია და ავადმყოფთა ჩასაწერი; 3. კაბინეთი გამგისა (ექ. ჩიქოვანის) 4. სადოსტაქრო და ქალურ ავადმყოფთა მისაღები (ექ. მრევლიშვილი); 5. კაბინეთი ნათიშვილისა (ვენერიული); 6. კაბინეთი კბილის ექ. სოლოღაშვილისა ექიმებს შველიან ექიმი ტერ-ისრაილიანცი, ბებია-ფერშლები გაბუჩიასი, ელიავასი და ბოროზდინი; აფთიაქს განაგებს ფარმაცის მაგისტრი ზენინგი. ავადმყოფებს მუქთად სინჯავენ; წამლები შედარებით იაფად ეძლევათ და ისიც ნისიად.

## კრებები.

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.**

დღეს, თებერვლის 1 ელს, საღამოს 6 საათზე, კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტის ბინაზე (ოლღას ქუჩა, № 40) მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. კრების საგანია: 1) ს. გორგაძის მოხსენება—იოვანე დამასკელის მთავარი თხზულება „წყარო ცოდნისა" ქართულ მწერლობაში, და 2) ახალი წევრების არჩევა. კრებას გარეშეთაც შეეძლიანთ დაესწრონ.

## თეატრი

**დღეს:**

**სახელ წიფო თეატრი. —„კარმენ." „ტარტო" დრამა —„საფო."**

## პროვინციის ცხოვრება

**ბათომის პორტში.**

ამ დღეებში იტალიიდან ბათომში მოელიან დიდ ძალ გოგირდს ამიერ კავკასიისათვის.

— ფოთიდან გემი, როსიათი", ბათუმში მოიტანეს ასი ფუთი სიმინდი.

— ბათუმში მოიტანეს საქართველოს მოტორიანი ნავით. „პირაგით", სოხუმიდან 90 ფუთი სიმინდი, 70 ფუთი ლობიო და 12 ფუთი ქონი.

— ამ დღეებში იტალიის გემით, „კაროლ ფრანც-იოსებით" მოიტანეს ბათუმში: 90 კილო აბრეშუმის წინდები. 150 კილო საკანცელარიო ნივთები, 130 კილო საცვალი, 120 კილო შეკერილი ტანისამოსი, 1650 კილო მედიკამენტი, 12,500 კილო ქსოვილები, 780 კილო სააფთიაქო საქონელი, 10,500 კილო ქაღალდი, 1275 კილო პაპიროსის ქაღალდი, 525 კილო, მანუფაქტურა, 1800 კილო ლილა 150 კილო კალოში და 6350 კილო ქართოფილის სანთელი.

## ს-დ საქართველოს აგრონომიულ დახმარების მოღვაწეთა პირველი ყრილობა

**პლენუმის მეორე სხდომა.**

29 იანვარს პროფ. ავალიანის თავმჯდომარეობით შესდგა ს-დ საქართველოს აგრონომიულ დახმარების მოღვაწეთა პირველ ყრილობის პლენუმის მეორე სხდომა.

მოსმენილ იქმნა სულ სამი მოხსენება პროფ. ავალიანის და ბ. ბ. მანდელ შტამისა და ფიგუროვსკისა.

**მოხსენება პროფ. ავალიანისა.**

პროფ. ავალიანი შეეხო „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებას". საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულება, მომხსენებლის სიტყვით, ჯერ გამოკვლეული არ არის.

შემდეგ მომხსენებელს ციფრებით მოჰყავს ის ცვლილებანი, რომელიც ამ უკანასკნელ 5—10 წელში მოხდა სოფლის მეურნეობაში. თანახმად ამ ცხრილისა ხორბლეული 1908 წ. დათესილი იყო 388,718 დესეტინა ხოლო 1912 წ. 592,461 დეს., ე. ი. ხორბლეულობით დამუშავებული მიწების რაოდენობას თვალსაჩინოდ უმატია, რაც უდრის 52,1 პურისა და ქერსა წარმოებას ამ 5 წლ. განმავლობაში შედარებით სხვა ხორბლეულობასთან სიმინდი შვრია ჭვავთან.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ცვლილებებს ჩვენი სოფლის მეურნეობაში და ამბობს, რომ თვითეულ გუბერნიაში თბილისისაში და ქუთაისში ამ ცვლილებებს ერთი და იგივე სახე არა აქვსო. ქუთაისის გუბერნიაში სიმინდის წარმოება სხვა ხორბლეულობის წარმოებასთან შედარებით ნაკლებია, თბილისის გუბერნიაში კი სიმინდის წარმოება სჭარბობს სხვაგვარი ხორბლეულობის წარმოებას. ქუთაისის გუბერნიაში პურის წარმოება ასწრობს სიმინდის წარმოებას და უფრო მჭიდრო ნიადაგს პოულობს სოფლის მეურნეობა არ სტოვებს სიმინდის კულტურას, რომელსაც ხალხი შეჩვეული არის.

შემდეგ მომხსენებელი ეხება იმ პროცენტს თუ საქართველოს სივრცეში ხორბლეულობის კულტურა რამდენ პროცენტს შეადგენდა, ეხება აგრეთვე მოსავლის რაოდენობას 1908—1912 წ. და სოფლის მიდრეკილებას არკვევს ამ სახით: მეურნეობა უმთავრესად ეტანება ისეთი ხორბლეულობის წარმოებას რომელსაც მნიშვნელობა აქვს ხალხის გამოკვებაში. ხალხის პირდაპირი მოთხოვნილება აწარმოებს იმ ხორბლეულობას—ქერს, ჭვავს რომელსაც ხალხის გამოსაკვებად ძნელი გამოსაყენებელია. მეურნეობა არ ეტანება იმ ზომად რამდენადაც სხვას—სიმინდის და პურის წარმოების შორის დიდი მეტოქეობა არის.

დიდი ცხრილის მომხსენებელი ამტკიცებს რომ პურის წარმოება უფრო იზრდება ვიდრე სიმინდისა. შემდეგ მომხსენებელი იკვლევს თუ რა ცვლილება მოხდა იმავე 1908—1912 წ. სოფლის მეურნეობის დარგებში. ეხება თამბაქოს წარმოებას რომელმაც მისი აზრით 1908—1912 იმატა, მატულობს დამუშავებული სივრცე და იზრდება თამბაქოს მოსავალიც. პლანტაციის რიცხვი მატულობს და ერთად იზრდება თვით პლანტაციების სივრცე ეს კი იმდენად მომასწავებელია რომ მეთამბაქოები აწარმოებენ ამ დარგს არა მარტო თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არამედ ბაზრისათვის თამბაქოს წარმოებამ გაასწრო სხვა წარმოებას სოხუმის ოლქში მაგ. ხორბლეულობიდან ყველაზე უფრო გავრცელებულა სიმინდის კულტურა 1907 წ. 5 წლის განმავლობაში სიმინდით დათესილი სივრცე შემცირდა 143.8 პროცენტით. მაშასადამე სიმინდის წარმოება ეცემოდა სამაგიეროდ იზრდება მაღალი წარმოება თამბაქოსი.

მესამე ნაწილში თვის მოხსენებისა ბ. ავალიანი ეხება ბამბის წარმოებას.

ბამბის წარმოებას ამავ დროს 1908–1912 წ. უმატია 767, 8 პროც. ეს ზრდა ამტკიცებს რომ მდაბიო წარმოება ადგილს უთმობს ინტენსიურ მაღალ კულტურას მიზეზის ამ ცვლილებისა კი არის ეკონომიური. მეურნე მისდევს იმ ნაწარმოებს რომელსა გასავალი აქვს ბაზარზე. ჩვენი მეურნე უკავშირებს თავის წარმოებას ბაზრის მოთხოვნილებას. და ამ მოვლენის დასაწყისს ჩვენ ნათლად ვამჩნევთ საქართველოს სოფლის ცხოვრებაში. ეს მოვლენა დაიწყო და უმთავრესი ხასიათი ამ განვითარებისა უკვე გამოიხატა.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორი

**„სარედაქციო კოლეგია,"**

**გამომცემელი: თბ. გაქ.-მრ. კომიტეტი.**

დოქტორი მედიცინისა

**მოსე ანთიმოსის ძე**

**ჭალანდარიშვილი**

უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებმიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე ოლღას ქ. 3. ტელეფონის № 17—21.

## საჯაჭ.-სამრეწველო პალატა.

**სავაჭრო ბიულეტენი.**

ქ. თბილისი, 31 იანვარი 1920 წ.

| კ უ რ ს ი | |
|---|---|
| სტერლინგი: | |
| ა) ბანკნოტი | 1100 მ. |
| ბ) ჩეკი | 1075 „ |
| ფრანკი ფრანგული ქაღ. | 27 „ |
| ჩეკი | 23,50 „ |
| ლირა იტალიური ქაღ. | 21 „ |
| ჩეკი | — „ |
| ლირა ოსმალური: | |
| ა) ოქროს | 1420 „ |
| ბ) ქაღალდის | 255 „ |
| ჩეკი | — „ |
| მარკა გერმანული | 12,50 „ |
| მანეთი ყოფილ რუსეთის იმპერიისა: | |
| ა) ასი მანეთიანი | 220 „ |
| ბ) ხუთასი მანეთიანი | 1100-1300 „ |
| ათ მანეთიანი ოქრო | 1650 „ |
| ოქრო 96° მის. | 700 „ |
| ვერცხლი 84° | 12 „ |
| **ფასიანი ქაღალდები:** | |
| თბილ. საადგ.-მამულო ბანკ. გირავნ. ფურცლ. | 102 „ |
| ქუთაისისა | 87 „ |
| თბილ. საკრედ. საზოგ. ობლიგაცია | 106 „ |
| აქც. კავკ. ბანკისა | 850-900 „ |
| აქც. ამიერ კავკ. ბანკისა | 365 „ |
| ვაჭართა ბანკ. | 365 „ |
| ქარ. საჭრ. საზ. აქც. | 150 „ |
| რენტა | 215 „ |
| **საქონლის ფასი:** | |
| მატყლი ფუთი: | |
| გარეცხილი | 800-1000 მ. |
| გაურეცხავი | 700-800 „ |
| ჯაგარი: | |
| ა) გარჩეული | 12000 „ |
| ბ) გაურჩეველი. | 5000 „ |
| ბამბა ფუთი | 1500-1800 „ |
| ღვინო კახური ვედრო | 400-700 „ |
| ხორბალი ფუთი: | |
| ა) ქართლისა | 450-500 „ |
| ბ) ბორჩალოსი | 450-500 „ |

| შაქარი ფუთი: | |
|---|---|
| ა) რაფინადი | 4600-4800 „ |
| ბ) ფხვნილი | 3150 „ |
| სიმინდი ფუთი | 230-240 „ |
| ლობიო ფუთი | 280-300 „ |
| ბრინჯი აქულისა ფუთი: | |
| ა) 1 ხარისხისა | 850 „ |
| ბ) 2 ხარისხისა | 625 „ |
| პურის ფქვილი ფუთი: | |
| ა) რუსეთისა | 1050 „ |
| ბ) ადგილობრივი | 580-600 „ |
| სიმინდის ფქვილი ფუთი | 280 „ |
| მაკარონი ფუთი | 800 „ |
| კართოფილი ფ. | 220-250 „ |
| კომბოსტო ფუთი | 100 „ |
| ერბო გირვ. | 120 „ |
| კარაქი დასაღნობი გირ. | 220 „ |
| ყველი გირვანქა: | |
| ა) თუშური | 55 „ |
| ბ) ოსური | 50 „ |
| გ) სულგუნი | 45 „ |
| წუმწუმა 1000 კოლ. | 2200 „ |
| კვერცხი 100 ცალი | 350-400 „ |
| კაკალი ფუთი | 500-600 „ |
| თხილი ფუთი | 300-320 „ |
| ხორცი გირვანქა: | |
| ა) ძროხისა | 23-25 „ |
| ბ) ცხვრისა | 24-27 „ |
| გ) ღორისა | 23-27 „ |
| ქათამი | 130-180 „ |
| ინდოური | 185 400 „ |
| ბატი | 145 250 „ |
| იხვი | 100-150 „ |
| ხიზილალა გირვ. | 380 „ |
| დოში გირვ. | 50 „ |
| ორაგული გირვ. | 50 „ |
| ზუთხი გირვ. | 50 „ |
| შეშა 1 კუბ. საჟ. | |
| ა) რცხილისა | 2200-2700 „ |
| ბ) წიფელისა | 1700 „ |
| ნავთი ფუთი | 120 „ |
| ბენზინი ფუთი | 275 „ |
| ტყავი ნედლი ფუთი: | |
| ხარისა | 500-900 „ |
| ცხვრისა ცალი | 100-120 „ |

---

სერ უილიამ ხაბარდის ფელეტონი

## უცხოელის წერილებიდან

(წერილი მეორე)

წერილის პირველს ნაწილსა დღე ვერ დაუდგა მზიანი:
შავი წაშალა წითელმა, 1) მით მოუვიდა ზიანი!
ველარ ვასმინო ქვეყანას ზოგთ საქმე კეთილ ხნიანი,
ვერ გადუშალო თვალწინა ახირებულთა სიანი!

პრტყელ წერის მანერისაკენ ვრაცულმა სულმა მაქანა...
ბევრი დავლალე, მაგრამ მეც კი დამღალა მაგანა!
გარდა ამისა სიმართლეს მაგრადა სძინავს აქანა;
პირში მთქმელს მზად უნდა ჰქონდეს საფრენი რამე მანქანა!

წითელი მელნის შიშითა დავიწყოთ... მაგრამ რაზედა?
მმართველთა ავტომობილზე? ან მათი პალატ-სრაზედა?
იქნება მილიციელის სალამზე—მუშტის კვრაზედა?
თანამედროვე თემაზე: კუჭის და მიწის ძვრაზედა?!

ეჰ, შორს ყოყმანო! დავიწყოთ როგორც ყველგანა—დარიდან!
დედალი მზე და მამალი 2) მთვარე თუმც ცათა კარიდან
იღიმებიან ძალცდურად მათ სხივთა შუბის ტარიდან,
სითბო გამოკრთის იმდენი, რაც საფლავთ მთხრელი ბარიდან!

ცივი მჟავბადის ყლაპვითა ფილტვები ზიანდებიან.
შეშა, ხახშირი, ალმასნი—საშველად გვიანდებიან!
სვიანსაა რკინის უჯრედნი ყველაზე გვიან თბებიან,
დამთბარნი—კაკლის გულივით მაშინვე ჭიანდებიან!

ხალხი კი მაინც ქუჩაში გმირულად დაეხეტება!
ლაქლაქებს, ეჰ, ვრაცთა ბაგე, რა ყინვას დაეკეტება?!
მის სიტყვიერი ნაკადი არასდროს დაიხვეტება,
არსად არ არის ამგვარი ენისა კბილზე წყვეტება!!

**ვინ მთავრობს.**

ზოგი მარიხობს, ან ზევსობს, ზოგი თავისთვის ფილისტრობს,
რაძდენი მაწანწალაა! უკან გდევს, ხანაც წინ გისწრობს!
რუსი, სომეხი, ხუნხუზი... ვრაცუნა, აბა, ვის იმტრობს?!
მაწანწალაცა, ხუნხუზიც, ერთიც, მეორეც... მინისტრობს!!

ვრაცების გვართა სიძველე დღემდისინ არის დაცული:
ვოიტინსკაიას ემმასა (მზისათა დასთა დასული)!
და იმის ქმარსა ვოლდემარს აქვსთ სული წმინდა ვრაცული,
ხორცი კი პალესტინისა მზისაგან ოდნავ ბრაწული!

გოლდმან და ტრეიმანები უქურუმებენ შრომასა!
გაექცნენ იეგოვასი მქუხარე რისხვა-წყრომასა,
უცხოთა ქურქში ჩვეულნი გახვევასა და ძრომასა,
ჰოიკალათნენ ნოეთან, აქ განიცდიან ცხრომასა!..

**მომარაგების საქმენი.**

მომარაგების საქმე დგას აქ მეტის მეტად მაღლადა:
მიწვდომას ნურც კი იფიქრებ... არა ღირს ტყუილ დაღლადა,
შლიან და სწერენ... ანგრევენ და აშენებენ ახლადა...
ერთობ კი ხელმარდ გვამთათვის იქცა ის მარჯვე დახლადა!

მთელ რესპუბლიკის სივრცეზე გაჩნდა დიდი ბაზარი.
ვინა და რას არ ვაჭრობს, სურამთა გახლავთ საზარი!
აქ მილიონებს მოიგებ ნეხვზედ, თუ ბევრი დასძარი,
თუმცა ისიც კი უნდა ვსთქვათ—ეს საქონელიც სად არის?

ამ დიდ ბაზარში, იკითხავთ, მყიდველნი ნეტა ვინ არი?
ვინა და.. ქვეყნის ყვლეფაში ყველაზედ რომა წინ არი!
მღვრიე წყალთანა მჯდომარე ფხიზლადა, არა მძინარი,
თანამედროვე მეთევზე უჩინარი თუ მჩინარი!..

ეს განმარტება, მეცა ვგრძნობ, საკმაოდ ბუნდოვანია.
რას იზამ? ამის დაწერი არც ისე კუნთოვანია,
არც ესდეკ ესფერ-ესერი, არცა თუ Бунд ოვანია,
რომ ააგდონ-დააგდონ, სთქვან: იგი ბურთოვანია!

განსაკუთრებით შიში მაქვს განსაკუთრებულ რაზმისა:
გამახსენდება თუ არა ყელში ვგრძნობ ჩოთირს სპაზმისა!
მმართველ წრეთათვის შეადგენს იგი საგანსა კაზმვისა;
იმაშიც არის უჯრედი... ამბოხის პროტოპლაზმისა!..

**ერობა—ერბო...**

დეცენტრალიზმის ნიმუში თუ რომა ძრიელ გჭირია,
ერობა უნდა აქ ნახო—მოვლენა გასაკვირია!
ერობა... ერბო... აქ თითქოს ერთი და იგივ ძირია
და განსხვავებაც: მეორე პირველზედ უფრო ძვირია!..

მოკლეს აგრძელებს, თავფეხს სჭრის მას, რაცა მოედიდება,
ყველას გააწვენს ტლაპოზედ, ვინც კი მას მოეხიდება!
ვინც კი საქმესან მის სიტყვას ენდოთა მოეკიდება,
ვაი მის ოჯახს და დოვლათს: ცეცხლივით მოეკიდება!..

თუ სხვა პარტიას ეკუთვნი, ჯიუტობ, არა სწორდები,
სოფლისა გამოფხიზლების საქმესა არა შორდები,
ვირის აბანოდ გექცეოს ზურმუხტოვანი კორდები,
ამის თავდებნი არიან... ესდეკთა დერჟი მორდები!...

**კომისრები...**

რომანოვებსა ვილამაც აქ კომისრები ადარა:
მართლა და მეფეთ მაგალითს ჰბაძავს დიდი და პატარა,
შიგნით რომ შავი და გარედ წითელი ცეცხლი ატარა,
სული და გული და თანაც კუჭი რომ გაგვიკატარრა!...

**ბოლშევიკები...**

შეხვდეპით აქა ხშირადა სკვითოს ლენინის დამქაშსა
ეს ფენომენი, ამბობენ, ძალიან ჰგავსო აპაშსა.
მთელსა მსოფლიოს ჰპირდება მჟავე კომბოსტოს და ქაშსა
სამეგრელოში, ოსეთში ვხედავთ მის წითელ თამაშსა!

ქალაქშიც ბლომად არიან! დადიან სიტყვით მკვახითა!
იჭერენ იმათ როგორც რომ ვირთაგვებს რკინის მახითა,
გავბედნიერდი ამის წინ ერთის მათგანის ნახვითა:
ფილიპე, ბერის—სომხისა არქიმანდრიტის სახითა!! 3)

სომხის ბერი და... მოდი და ნუ დააძახებ: კეცე, ვა!
თუ ბოლშევიზმი ამ გვარად ბერად ილიკვეცება,
ანტანტა სიხარულისგან მუხლებში ჩაიკეცება,
მენშევიზმს აღარ დასჭირდეს შიშისგან თვალთა ცეცება!..

**ბანკეტებზედ...**

ვათავებ,—ლექსომანიით თუმცა გახლავართ სნეული—
გარდა ამისა ვიჩქარვი: დღეს ბანკეტზედ ვარ წვეული!
ეს ბანკეტები რომ არა—მომკლავდა კუჭი წყეული!
მათი წყალობით მომრგვალდა ჩემი გამხმარი სხეული...

ბანკეტზედ, ალბად, ვნახავ მე ბობოლებს, წითელ-რუხებსა,
მომავლის წითელ და ყვითელ კვერცხებზედ მჯდომსა კრუხებსა...
ვჭამ მადიანად... მოვითმენ სიტყვიერ ფახი ფუხებსა,
ლექურში ათამაშებულ ვიხილავ ნესტებ-წულებსა...

ამ ბანკეტების ერთი რამ არ მომწონს: კაცო, სად არი,
ქალსა ვინ სჩივის, ქალისა რამე არსება სადარი?!
ვის უნდა გაუარშიყდე? აი საკითხი საზარი!
შრომის მინისტრსა? რას ამბობთ? მე ხომ არა ვარ თათარი!!

მშვიდობით... ალფრთოვანებას როდესაც ვიგრძნობ ჯეროვანს
მოგაწვდით წერილს მესამეს, არ მოაწყენსა, ფეროვანს!..

3) ფილიპე მახარაძე, ამბობენ, სომხის არქიმანდრიტის ტანისამოსით დაიარებოდაო.

ს. უ. ხ.

№ 22 ვაჭრობა და მრეწველობა № 22

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის რედაქციით

## გადაუდებელი საქმე *)

**შესახებ საგვარეულო მამულების გამოხყიდვისა.**

არ შეიძლება არ მიექცეს ყურადღება ერთ ფრიად მავნე მოვლენას ჩვენი საზოგადო ცხოვრებისას. მე ვგულისხმობ იმ დარგს სპეკულიაციისას, რომელიც გამოიხატება საგვარეულო მამულის გამოსყიდვის შესახებ საჩივრის აღძვრაში სასამართლოს წინაშე. აქ უნებლიედ იბადება კითხვა, რა შუაშია სპეკულიაცია, როდესაც ეს საკითხი ირჩევა სასამართლოში კანონიერის გზით? მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი დროის ღვიძლი შვილი—სპეკულიაცია ამ შემთხვევაში თავით ფეხებამდე არის ჯავშანით შემოსილი და ამიტომ ჯერ-ჯერობით მისი არსებობა უზრუნველყოფილია: ჯავშნის დანიშნულებას მშვენივრად ასრულებს ყოფილ რუსეთის იმპერიის დახავსებული კანონები, რომლის ცოტაოდენი მსგავსი ევროპის არც ერთ სახელმწიფოს კანონ-მდებლობაში არ მოიპოვება.

რაშია საქმე?

რუსეთის სამოქალაქო კანონების ძალით უძრავი ქონება ანუ მამული, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მე-X ტომ. I ნაწ., მე 399 მუხლში მოყვანილ პირობებს, ითვლება გვარეულობის მამულად, რომელიც, წინააღმდეგ „კეთილშეძენილი" მამულებისა, ზღუდავს მესაკუთრის ნება-ყოფლობის თავისუფლებას, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ მესაკუთრეს არა აქვს ნება უანდერძოს ან აჩუქოს ასეთი მამული ისეთ პირს, რომელსაც იგი კანონიერ მემკვიდრეობის წესით არ ერგება (იხ. ტომი X ნაწ. 1. მუხლი 967 და 1068); იმ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა საგვარეულო მამული მესაკუთრემ მიჰყიდა უცხო პირს—არა თავის მოგვარეს,—ყველა ნათესავ-მოგვარეს გამყიდველისას აქვს უფლება სამი წლის განმავლობაში დღიდან გაყიდვისა გამოისყიდოს ანუ დაიბრუნოს გვარეულობის მამული (მუხ. 1363 ტ. X ნ. I), რისთვისაც საჭიროა გადაიხადოს გამომყიდველმა მხოლოდ ის ფასი, რა ფასშიაც გაჰყიდა მამული მისმა ნათესავმა—მოგვარემ—(მუხ. 1367) აი ამ კანონით სარგებლობენ დღეს ჩვენი დროის უცბად გამდიდრების მომსურნე რაინდები და ეძებენ გაფაციცებით, თუ ვისა აქვს გვარეულობის მამულის გამოსყიდვის ნება. როდესაც იპოვიან ამისთანა შემთხვევას, ილებენ „ნარდად" ამნაირ საქმეს, იწყებენ სასამართლოში სათანადო ძიებას და თან ევაჭრებიან ახალ მესაკუთრეს თუ რა პირობით შეუძლიანთ მათ „არ ისარგებლონ კანონის მიერ მინიჭებული უფლებით" ე. ი. არა კმაყოფილდებიან ერთხელ გადახდილ მყიდველის მიერ ფასს და თხოულობენ მისგან, უკეთეს შემთხვევაში ორჯერ ან სამჯერ მეტს პირველ ნასყიდობის ფასისას, წინააღმდეგ შემთხვევაში, თანახმად ზემო აღნიშნული კანონისა, იბრუნებენ, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ,ართმევენ მამულს. ამნაირ კანონის მიერ ნება დართულ უზნეო საქციელის ჩამდენთ თავის გასამართლებელ საბუთად ის მოჰყავთ, რომ ფულის ღირებულება დღე და დღე ეცემა, ხოლო ღირებულება მამულებისა მატულობს და ამიტომ, ვისაც კი შეუძლიან, უნდა ისარგებლოს იმ ბედნიერი შემთხვევით, რომელსაც მას სამოქალაქო კანონები ანიჭებენ.

და აი, ჩვენი ცხოვრების ამნაირ უფლებრივ პირობებში განა შეუძლიან ვინმეს დაიკვეხოს, რომ მან თავისი შრომით—მონაგარი ფულით შეიძინა მამული, შეიმუშავა გეგმა ვაჭრობა-მრეწველობის გაფართოვებისა და იგი ამ მხრივ უზრუნველ-ყოფილია ჩვენი კანონებით?—საუბედუროდ, სრულებითაც არა!

ჩვენ გავითვალისწინეთ ის „პრაქტიკული" მნიშვნელობა, რომელიც მისცა ჩვენმა დღევანდელმა საზოგადო ეკონომიურმა ცხოვრებამ ამ კანონს; საინტერესოა გავიცნოთ ის ისტორიული პირობებიც, რომლებმაც დაჰბადეს ეს იურიდიული ნორმები და აგრეთვე ავსწონ-დავსწონოთ, რამდენათ მიზანშეწონილია დღევანდელ ჩვენი ცხოვრების პირობებში მათი არსებობა.

ინდივიდუალურ მფლობელობას ისტორიულად წინ უძღოდა, როგორც ვიცით, თემობრივ გვარეულობრივი მფლობელობა, უაღრესათ ეს მფლობელობა იყო მიწისა; ყოველივე ის, რასაც შეიძენდა რომელიმე წევრი თემისა, ეკუთვნოდა იმავე დროს მის თემს, მის გვარს თანდათანობითი, ევოლიუციონობითი განვითარება ეკონომიური ცხოვრებისა აძლევს მნიშვნელობას ოჯახს და ეს უკანასკნელი იჭერს თემის—გვარის ადგილს და ის ადათ-ჩვეულებები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ თემობის დროს, გადადიან თავისი შინაარსით ფეოდალურ-ოჯახურ წყობილებაში, თუმცა შემდეგში ინდივიდუალური მფლობელობა თანდათან ირკვევა, მაგრამ ყოველივ მის ნაბიჯს აზის ნიშანი თეფურ ფეოდალურ წესწყობილებისა.

ერთი ამნაირი იურიდიული ნორმათაგანი, რომელსაც ასე ცხადად ეძლევა ფეოდალური ნიშან-ყვალი, ის კანონია, რომელზედაც ზევით მოგახსენეთ, სახელდობრ, მე-X ტომში შეტანილი მუხლები საგვარეულო მამულის გამოყიდვის შესახებ არის ამოღებული რუსეთის მე-XVI საუკუნის კანონებიდან, ეგრეთ წოდებული „ცარსკი სუდებნიკიდან". ამ კანონს გამოჩენილი სამოქალაქო უფლების მცოდნე-მკვლევარი პროფ. მაიერი (**Мейръ**) უწოდებს ძველი ფეოდალური ცხოვრების „ნანგრევებს" (**руины**). მხოლოდ გამოჩენილი რუსეთის „ცარიზმის" და თვითმპყრობელობის აპოლოგეტი პობედონოსცევი დიდათ აზვიადებდა ამნაირ ნორმების მნიშვნელობას სახელმწიფო ცხოვრებისთვის.

ეს მოკლე ისტორიული ცნობა მე მგონია საკმარისია, რომ ჩვენ შეგვეძლოს თამამად ჩვენი განაჩენი გამოვუტანოთ ამ დრომოჭმულ კანონს. აი რანაირი კანონები აბრკოლებენ ჩვენი ცხოვრების განვითარებას მათი დღევანდელი ყოფნა ჩვენს კანონებში არის მხოლოდ დაუდევრობის შედეგი—ჩვენ, რომლებმაც ამოდენა უნარი გამოვიჩინეთ ჩვენი საზოგადო პოლიტიკური ცხოვრების რადიკალურ გარდაქმნაში, ნუ თუ არ შეგვწევს ძალა, რაც შეიძლება ჩქარა გავასუფთაოთ ჩვენი კანონები, ამნაირი „ნაშთებისაგან", რომლებიც ასე ამახინჯებენ ჩვენს უფლებრივ ინსტიტუტს და ჰრყვნიან საზოგადოების უფლებრივ აზროვნებას. მე ღრმა იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენი პატივცემული იუსტიციის მინისტრი მიაქცევს ამას ჯეროვან ყურადღებას, და ვიდრემდის კანონ-მდებლობის წესით ამოიფხვრება ჩვენ მიერ მიღებულ ყოფილ რუსეთის კანონებიდან ფეოდალური წყობილების ნაშთები, პირველ ყოვლისა წარუდგენს სათანადო წინადადებას მთავრობას, რათა იმ კანონების მოქმედება, რომლებიც ეხებიან საგვარეულო მამულების გამოსყიდვას—დაუყოვნებლივ შეჩერებული იქმნეს, და მით მიეცეს საშუალება ჩვენს მრეწველებს სავსებით განახორციელონ ჩვენს ახლათ აღორძინებულ ცხოვრებაში უფლება და საშვალებანი მრეწველობის განვითარებისა.

ნაფიცი ვექილი ივ. ზედგინიძე.

*) ამ წერილის დაბეჭდვა ერთი კვირით დაგვიანდა ტეხნიკური მიზეზების გამო. რედ.

## სპეციალური სკოლა

III.

რუსეთის მთავრობა უცხო-თემელთა შესახებ მუდამ გამარუსებელ პოლიტიკას აწარმოებდა. თავის მიზნის მისაღწევად იგი სარგებლობდა ყოველ საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებებით. რა თქმა უნდა, ამ პოლიტიკით გატაცებული მთავრობა განსაკუთრებულს ყურადღებას მიაქცევდა სკოლას, რომელიც მძლავრი და საუკეთესო იარაღია დასახული პოლიტიკურ მიზნის მისაღწევად; მიაქცია კიდეც მან კავკასიის სკოლას ჯეროვანი ყურადღება და გამოგზავნა კავკასიაში სწავლა-განათლების აზრუნველად კ. პ. იანოვსკი.

იშვიათი ქართველი ინტელიგენტი მოიპოვება, რომელიც არ იცნობდეს ამ მზრუნველის მოღვაწეობას კავკასიაში საზოგადოდ და საქართველოში კერძოდ. ყველა ჩვენგანი, ვისაც კი კავკასიის სკოლაში უსწავლია, პირადად გრძნობს რუსეთის ამ სახელმწიფო მოღვაწის გავლენას. ჩვენ აქ არ შევუდგებით იანოვსკის სასკოლო სისტემის სრულ დახასიათებას; ეს სპეციალურ სკოლის საკითხს დაშორდილავდა. ჩვენ შევეხებით ამ მზრუნველის სასკოლო სისტემას იმდენად, რამდენადაც მან გავლენა იქონია სპეციალურ სკოლაზედ საქართველოში.

უპირველესად ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ოცდა ათის წლის განმავლობაში, როდესაც იანოვსკი განაგებდა სასწავლო ოლქს, მას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია სპეციალურ სკოლისათვის, და აი რა მიზეზით: სპეციალურ სკოლისთვის საჭირო იყო მეტი ნივთიერი საშუალება, მხოლოდ ამ სკოლაზედ, როგორც შიდა რუსეთში ისე კავკასიაში, ნაკლებად იმეტებდნენ თანხებს. ერთ სპეციალურ სასწავლებლის შესანახი თანხა საკმარისი იყო რამდენიმე საზოგადო სკოლის შესანახად; უცხო თემელთა გამარუსებელ პოლიტიკის თვალსაზრისით კი საზოგადო სკოლა უფრო გამოსადეგი, ვიდრე სპეციალური. დასკვნა აქედან ცხადი იყო.

ეს უარყოფითი განწყობილება იანოვსკისა სპეციალურ სკოლისადმი არ იქნებოდა ჩვენთვის იმდენად საგრძნობელი, საზოგადოებას რომ ნათლად ჰქონოდა წარმოდგენილი სპეციალური სკოლის საჭიროება ჩვენთვის. სამწუხაროდ, ამის შეგნება საზოგადოდ ნაკლები იყო. გარდა ამისა იანოვსკის საზოგადო სკოლის სისტემასთან ბრძოლამ შთანთქა მთელი ჩვენი პედაგოგიური ძალები. ამ დამამახინჯებელ სისტემას ებრძოდნენ ჩვენი საზოგადო მოღვაწენი, ჩვენი შეგნებული მასწავლებლები და აღმზრდელები. განსაკუთრებულის სიმხნევით ებრძოდა ჩვენი პედაგოგი და პუბლიცისტი ი. ს. გოგებაშვილი. ამ ბრძოლით ისე იყო გატაცებული ჩვენი საზოგადოების შეგნებული ნაწილი, რომ მას დაავიწყდა სპეციალური სკოლა და ამ სკოლის პირდაპირი მიზანი. არც გასაკვირველია ეს არ შეიძლება მოიწყოს რიგიანად სპეციალური სკოლა, როდესაც საზოგადო სკოლა ყალბ საფუძველზე არის აგებული და ბუნებრივ განვითარების მაგივრად ამახინჯებს ბავშვს.

თუ რამდენად ჩართულნი იყვნენ ამ ბრძოლაში ჩვენი მოღვაწეები, ამას ნათლად გვიჩვენებს იაკობ გოგებაშვილის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი „განმარტებითი წერილი სამეურნეო სასწავლებლის გეგმისა, რომელიც არსდება სოფელს წინამძღვარიანთ კარში".

როდესაც ამ სათაურს წაიკითხავთ, თქვენ უნებლიედ იფიქრებთ: რაკი ეს წერილი შეეხება საქართველოში პირველს და ერთად-ერთს სამეურნეო სასწავლებელს, წერილის ავტორი განსაკუთრებულს ყურადღებას მიაქცევდა სპეციალურ სასწავლებლების გახსნის საჭიროებას ჩვენში, მათ მნიშვნელობას საქართველოში მეურნეობის, ვაჭრობის და მრეწველობის აღორძინებისათვის, შეეხებოდა ყოველ მხრივ სამეურნეო სკოლის წესდებულებას, მის პროგრამებსო და სხვა...

მაგრამ თურმე ეს ჩამოთვლილი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები ისე არ აინტერესებს ავტორს, როგორც საზოგადო სკოლის ძირითადი პრინციპები. ამ ვრცელ განმარტებითი წერილში სრულიად დასაბუთებულია მრავალი შესაფერი მაგალითით და ავტორიტეტულ პედაგოგების ნაწარმოებიდან ამონაწერებით ის აზრი, რომ:

1. პირველდაწყებითი სწავლა ამ სამეურნეო სკოლაში უნდა გრძელდებოდეს ოთხი წელიწადი ნაცვლად სამისა.

2. სწავლა სკოლაში მთელი კურსის განმავლობაში უნდა სწარმოებდეს ქართულად.

3. რუსული ენის სწავლება უნდა იწყებოდეს მესამე წელიწადს და არა პირველსავე წელიწადს.

რაც შეეხება განსაკუთრებულად სამეურნეო საგნებს და მათ პროგრამას, ამაზედ თითქმის ვერაფერს იპოვნით აღნიშნულ განმარტებითი წერილში.

ჩვენ ამ გარემოებას მოვაქციეთ ყურადღება არა იმიტომ, რომ წერილის ნაკლი აღვნიშნოთ. ჩვენი განზრახვა იყო კიდევ ერთხელ გაგვესვა ხაზი იმ აზრისათვის, რომ იაკობ გოგებაშვილის ყურადღება (აგრეთვე სხვების) მთლად მიქცეული იყო იმ პედაგოგიურ უკუღმართობაზედ, რომელიც შედეგი იყო იანოვსკის პოლიტიკისა.

განმარტებითი წერილს ერთი მიზანი ჰქონდა დასახული—დაერწმუნებინა კავკასიის მთავრობა, რომ სწავლა დაწყებითი სასწავლებელში უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზედ.

ამ რიგად: 1) აღნიშნულ ხანაში საქართველოში სპეციალურ სკოლებს მთავრობა არა ხსნის; 2) რაც შეეხება თვით ქართველ საზოგადოების თაოსნობას ამ დარგში, იგი მეტად სუსტი იყო დღემდე; 3) ჩვენი პედაგოგები ებრძვიან იანოვსკის საზოგადო სკოლის სისტემას; ამ ბრძოლას ანდომებენ მთელ თავის ძალ-ღონეს და ამიტომ სპეციალურ სკოლაზედ ჯერ ვერ ზრუნავენ.

მიხეილ თაქთაქიშვილი.

## შესახებ სურსათის საკითხისა საქართველოში

**ბ-ნი ტ. მარგველაშვილის წერილის გამო „მარცვლეულობა საქართველოში".**

სურსათის საკითხი ერთი უმთავრესი და ურთულესი საკითხია იმ ეკონომიურ პრობლემათა შორის, რომელნიც უნდა გადასწყვიტოს ამ ჟამად საქართველომ. სავაჭრო სამრეწველო პალატამ ადგილი დაუთმო თავის ორგანოში ყველას, ვინც მოისურვა ამ საკითხის გაშუქება ყოველ მხრივ. მთავრობა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ხალხის ყველა კლასები დიდის ყურადღებით ეკიდებიან ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ამ დარგს, რომელზედაც—შეიძლება ითქვას გადაუჭარბებლად—დამოკიდებულია არსებობა ჩვენი აღორძინებულ სახელმწიფოსი. ამიტომ ეს საკითხი უნდა დიდის სიფრთხილით გაშუქდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ შემცდარ და სკვნას შეიძლება მოჰყვეს არა სასურველი შედეგი როგორც ხალხის ფსიხოლოგიაში, აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის თანამედროვე ვითარების და ფასებში. ეს გარემოება გვაიძულებს შევჩერდეთ ბ-ნი ტიტე მარგველაშვილის წერილზე „მარცვლეულობა საქართველოში", რომელიც დაბეჭდილია სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანოში (№№ 18 და 19).

საერთოდ ჩვენ ვიზიარებთ ზემოხსენებულ წერილის პირველ ნაწილის დასკვნას, სადაც გარჩეულია წარმოება საქართველოს სასოფლო მეურნეობაში მარცვლეულობისა. ამიტომ წერილის ამ ნაწილზე არ შევჩერდებით.

გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ერთი დებულება: პატივცემული ავტორის აზრით მომატება მოსავლისა უცილობელი ნიშანი არ არის იმისა, რომ ჩვენ შეგვიძლიან წარმოება მარცვლეულობისა. ეს დებულება ჩვენთვის გაუგებარი დარჩა. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ პატივცემულმა ავტორმა შეამცირა რაოდენობა დათესილი ადგილისა აღმოსავლეთ-საქართველოში, რომელიც 260—272 ათას დესეტინას კი არ შეადგენს, არამედ—თანახმად ოფიციალ ცნობებისა—საშუალოდ 360 ათასს (მაგალითად, 1915 წელს ყოფილ თბილისის გუბერნიაში დაითესა 400 ათას დესეტინაზე მეტი).

გარდა ამისა, მოსავალი სწორედ არ არის განაწილებული. მაგალითად, საშუალო მოსავალი მარცვლეულობისა ყოფილ თბილისის გუბერნიაში 17 მილიონ ფუთზე მეტია, ხოლო ყოფილ ქუთაისის გუბერნიაში 10 მილიონი ფუთია. საბოლოო დასკვნას პატივცემულ ავტორისას ჩვენ თითქმის სავსებით ვეთანხმებით: საშუალო დამაკმაყოფილებელი მოსავალი მარცვლეულობისა საქართველოში უდრის (ან უდრიდა) 35—37 მილიონ ფუთს.

წერილის მეორე-ნახევარს, სადაც ავტორი ანგარიშობს საქართველოს მიერ დახარჯულ ხორბლის რაოდენობას, ჩვენ სრულიად ვერ დავეთანხმებით. როგორც ეტყობა, ავტორს ხელთ არ ჰქონია საჭირო მასალა. სხვაფრივ არ შეიძლება აიხსნას მისი მეთოდი—თეორიაში და პრაქტიკაში მახვილი და ორგინალური—რომლის თანახმად ავტორმა მთელი ხორბალი პურად აქცია და საქართველოს სამ მილიონ მცხოვრებს დაურიგა დღეში 4 (?) გირვანქა თითო სულს. ასეთ ანგარიშს მოულოდნელი შედეგი მოჰყვა: საქართველო წელიწადში ხმარობს 60—70 მილიონ ფუთს, და მან უნდა შემოიტანოს უცხოეთიდან წელიწადში 30-35 მილიონი ფუთი ხორბალი. ასეთი შედეგი შეაშინებს უკიდურეს ოპტიმისტ ეკონომისტსაც. ჩვენ არ უნდა შევცდეთ, თუ ვთქვით, რომ ასეთ პირობებში შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებელი არსებობა. როგორც ვიცით, 1919 წელს მოსავალი საშუალოზე ცუდი იყო, თითქმის 50 პროც. ნაკლები უმდლეს ნორმაზე (35—37 მილ. ფ.), ე. ი. დაახლოვებით იგი უდრის 16—17 მილ. ფუთს. თუ ეს მართალია, მიმდინარე წელს ჩვენ უცხოეთიდან უნდა შემოვიტანოთ თითქმის 50 მილ. ფუთი ფქვილი, რომლის ღირებულება დღევანდელ ფასების მიხედვით აღემატება 30 მილ. გირვანქა სტერლინგს!

გარდა ამისა, ავტორს ნაანგარიშევი არა აქვს სათესლე და საქონლის გამოსაკვები მარცვლეულობა.

შესწავლა მასალებისა შესახებ საქართველოს მიერ დახარჯულ მარცვლეულობისა სხვა სურათს გვაძლევს. 1917 წელს კავკასიის სასურსათო საბჭომ შეაგროვა ყველა მასალები, რომელიც მოიპოვებოდა ამ საკითხის შესახებ.

ეს მასალები გულდასმით იყო დაფასებული და შესწავლული. კრებული ამ მუშაობისა, რომელშიაც, სხვათა შორის, მეც მივიღე მონაწილეობა, ერთად ერთი სწორი წყაროა ამ საკითხის შესასწავლად. ეს ნაშრომი შემოკლებით დაიბეჭდა თავის დროზე შემდეგი სათაურით: „**продовольственныя перспективы на Кавказѣ на 1918-1917 г.**" (მოხსენება მერხალევისა). თანახმად ამ ნაშრომის საშუალო დასკვნანი შესახებ საშუალო მოსავლისა ეთანხმება ზემოთაღნიშნულ ცნობებს. რაც შეეხება მარცვლეულობის დახარჯვის ცნობებს, რომელნიც შედგენილია ძალიან ფრთხილად და, შეიძლება ითქვას, გადიდებულიც არის, ასეთი ხახლავთ (მილ. ფუთებით).

| | ხალხის გამოსაკვებად | საქონლისთვის | სათესლე | სულ |
|---|---|---|---|---|
| თბილისის გ. | 19,6 | 1,9 | 3,6 | 25,1 |
| ქუთაისის გ. | 13,2 | 1,7 | 0,6 | 15,5 |
| სუხუმის ოლქი | 2,7 | 0,3 | 0,1 | 3,1 |
| ს უ ლ | 35,5 | 3,9 | 4,3 | 43,7 |

მოსახლეობა ნაანგარიშევი იყო:

| | | |
|---|---|---|
| თბილისის გუბ. | 1,3 | მილ. სული. |
| ქუთაისის „ | 0,9 | „ „ |
| სუხუმის ოლქი | 0,2 | „ „ |
| ს უ ლ | 2,4 | „ „ |

ეს რიცხვი მოსახლეობისა ნაკლებია 300,000-ით 1916 წლის ოფიციალურ ცნობებთან შედარებით (2,7 მილ.).

თანახმად ამ წყაროებისა, 1916 წ. საქართველოს აკლდა 15,5 მილიონი ფუთი მარცვლეულობა, ხოლო 1917 წ. აკლდა 12,1 მილ. ფუთი. წასული წლების გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ეს რიცხვიც გადაჭარბებულია. ეს მტკიცდება რკინის გზების სტატისტიკით შესახებ მარცვლეულობის გადატან-გადმოტანისა. აქვე მოგვყავს ცნობა შესახებ რკინის გზებით საქართველოში შემოტანილ და საქართველოდან გატანილ მარცვლეულობისა (მათ შორის ბრინჯიც) 1913—1916 წლებში*).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1913 წ. | გატანილია | 1,4 | მილ. | ფ. |
| | შემოტანილია | 6,3 | „ | „ |
| | (ჩათვლილია ხორბლის ფქვილი) | 4,9 | „ | „ |
| 1914 წ. | გატანილია | 0,5 | მილ. | ფ. |
| | შემოტანილია | 6,6 | „ | „ |
| | (ფქვილი | 4,9) | „ | „ |
| 1915 წ. | გატანილია | 0,7 | „ | „ |
| | შემოტანილია | 10,7 | „ | „ |
| | (ფქვილი | 7,1) | „ | „ |
| 1916 წ. | გატანილია | 1,1 | „ | „ |
| | შემოტანილია | 11,4 | „ | „ |
| | (ფქვილი | 7,1) | „ | „ |

ამ რიგათ, ამ 4 წელიწადში საშუალოდ შემოტანილი სჭარბობდა გატანილს რკინის გზებით (და ფოთით) საშუალოდ წელიწადში 7, 8 მილ. ფუთით, და არ გადასცილებია 10 ნახ. მილ. ფუთს.

საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული ცნობები შესახებ 1919 წ. მოსავლისა ყოფ. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში საერთოდ ეთანხმება ჩვენს დასკვნას. თბილისის გუბერნიაში საერთო მოსავალი ნაანგარიშევია 7, 2 მილ. ფუთი, ქუთაისის გუბერნიაში 5, 6 მილ. ფუთი. ხარჯი ნაანგარიშევია: **)

ხალხის გამოსაკვებად საქონლისთვის სათესლე სულ თბილისის გუბ. 16, 6 მილ. ფ 0,4 მ. ფ. 2,2 მილ. ფ. 19, 2 მილ. ფუთ.

ქუთაისის გუბ. 14,1 მილ. ფ. 0,2 მილ. ფ. 0,9 მილ. ფ. 15,2 მილ. ფ.

სულ 30,7 მილ. ფ. 0,6 მილ. ფ. 3,1 მილ. ფ. 34,4 მილ. ფ.

თანახმად ამ ცნობებისა, ამ ორს გუბერნიის 1919 წ. აკლია 21,6 მილ. ფუთი ხორბალი. ჩვენი პირადი რწმენით, ეს რიცხვიც გადაჭარბებულია, მიუხედავათ, მართლა დიდი მოუსავლობისა, და აგრეთვე იმიტომ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში წინანდელი წლის მოსავლის ნაწილი დარჩა.

ამ რიგათ, ჩვენ მიერ მოყვანილი ცნობები ამტკიცებს, რომ ნორმალურად საქართველო ხმარობს არა უმეტეს 5—6 მილ. ფუთს მოტანილ ხორბალს. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს ეყოფა საკუთარი პური, თუ მან მოახდინა ინტენსიფიკაცია კულტურისა და გააძლიერა რაოდენობა ნათესისა, რაც სავსებით შესაძლებელია.

ყოველივე ზემონათქვამიდან ჩვენ არ გამოგვყავს ოპტიმისტური დასკვნა. დღევანდელი ჩვენი ვითარება, გართულებული საერთოდ მსოფლიო მეურნეობის მოშლით, მეტად სერიოზულია. იგი მოითხოვს ჩვენგან დიდს სიფხიზლეს და განუწყვეტელ შრომას, რათა ძლეულ იქმნეს ჩვენი ქვეყნის სასურსათო კრიზისი. ჩვენს მთავრობას ერთი მხრით ჰმართებს მუდმივი ზრუნვა, რათა ჩვენში მომავალ წლებში განვითარდეს და გაძლიერდეს მარცვლეულობის მოყვანა, ხოლო მეორე მხრით გამოძებნა ხელ-საყრელ პირობებისა და საშვალებათა უცხოეთიდან პურის შემოსატანად.

ამ მოკლე შენიშვნაში ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს ანალიზის მოხდენა საქართველოს სასურსათო საკითხებისა. ჩვენ მხოლოდ გავბედეთ მცირე კორექტივი ჩაგვერთო წერილში „მარცვლეულობა საქართველოში".

დიმ. აფხაზი.

*) რა თქმა უნდა, სხვა გზებითაც შემოდიოდა საქართველოში ხორბალი და ფქვილი, მაგრამ ძალიან ცოტა. ფოთიდან შემოტანილი საქონელი ჩათვლილია ამ ცნობებში. მეორე მხრით არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ცნობებშივე ჩათვლილია ის ფქვილი და მარცვლეულობა, რომელიც იგზავნებოდა საქართველოში ჩაყენებულ რუსულ ჯარნიზონებისა. როგორც ვიცით, მათი რიცხვი, უფრო 1915 წელს, მეტად დიდი იყო.

**) ეს ციფრები და ცნობები შესახებ მოსავლისა თბილისის გუბერნიაში წინანდელ წლების მოსავალთან შედარებით ნაკლებია, რაც იმით აიხსნება, რომ ნაწილი თბილისის გუბერნიისა (ნეიტრალი ზონა და ნაწილი სამხრეთი ბორჩალოსი) ნაანგარიშევი არ არის.

## სავ.-სამრწ. პალატაში.

პალატის კომიტეტმა მოისმინა მოხსენება პალატის იურისტკონსულტის ნაფიც ვექილის ბ. ივ. ზედგინიძის შესახებ იმისა, რომ დროებით შეჩერდეს ან გაუქმდეს კანონი შესახებ საგვარეულო მამულების გამოსყიდვისა და დაადგინა: აღიძრას სათანადო შუამდგომლობა წინაშე იუსტიციისა და ფინანსთა მინისტრებისა.

საჭიროება ზემოხსენებულ კანონის შეჩერებისა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ უკანასკნელ დროში მეტად გახშირდა ასეთი მამულების გამოსყიდვა სპეკულიაციის მიზნით.

—

თანახმად ქ. თბილისის მოურავის თხოვნისა, სავაჭრო პალატამ გადასდო თვეში 1000 მანეთი ქალაქის გამგეობასთან არსებულ სალიკვიდაციო კომისიის კანცელარიის შესანახად.

—

ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი აპირებს საქართველოს 1917 წლის სამეურნეო აღწერის გამოცემას. სავაჭრო პალატამ სცნო მისი გამოცემის დიდი სარგებლობა და საჭიროება და თავის მხრით გადასდო ამ ნაშრომის გამოსაცემად 10.000 მანეთი.

სტამბა „ცხოვრება" ალექს კალანდაძისა, ვახაშვილის შესახვევი № 4.